სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი **#2**

ქ. თბილისი **2021 წლის 26 მარტი**

ქვეყანაში და მსოფლიოში მიმდინარე კორონავირუსთან (COVID-19) დაკავშირებული პანდემიის გამო წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ფორმატთან დაკავშირებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის დისტანციურად, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების თაობაზე.

შესაბამისად, თსუ სენატის სამდივნოს მიერ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს ელ. მისამართებზე დაეგზავნათ წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის დღის წესრიგი, შესაბამისი მასალებით და ეთხოვათ, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, დისტანციურად დააფიქსირებინათ პოზიცია, უჭერდნენ თუ არა მხარს წარმოდგენილ საკითხებს.

დისტანციური სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის დებულების დამტკიცება (მომხსენებელი: მაია გურაბანიძე)
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებაში ცვლილებების დამტკიცება (მომხსენებელი: ზურაბ გაიპარაშვილი)
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცება (მომხსენებელი: გიორგი ტალახაძე)
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის დებულებაში ცვლილებების დამტკიცება (მომხსენებელი: შოთა ჭანტურიძე)

5. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების დამტკიცება (მომხსენებელი: ნანა გაფრინდაშვილი)
6. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის №137/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 5 მარტის №29/2021 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი მამუკა ხუსკივაძე)
7. “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის №63/2017 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 5 მარტის №30/2021 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: მამუკა ხუსკივაძე)
8. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის ანგარიშის დამტკიცება (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე)

თსუ სენატის სამდივნოში, ელ. ფოსტის მეშვეობით, თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს წარმომადგენლობითი საბჭოს შემდეგმა 41 წევრმა:

1.აბესაძე ნინო 2. საბაური ლევანი 3. არჩვაძე ნათელა 4. თუთბერიძე ბეჟანი 5. მაჭავარიანი ლია 6. მუკბანიანი ომარი 7. თავხელიძე ილია 8. ლუკა ონიანი 9. ყალიჩავა კობა 10. ჯავახიშვილი არჩილი 11. მარგველაშვილი ვლადიმერი 12. გოგსაძე გიორგი 13. ჭალაგანიძე ნინო 14. ბებერაშვილი ელენე 15. ჟვანია ირინე 16. ჩახუნაშვილი ნინო 17. ცანავა ქეთევანი 18. ბჟალავა ელისაბედი 19. რუსეიშვილი მანანა 20. ლორია კახაბერი 21. პაიჭაძე თამარი 22. ზაქარიაძე ანასტასია 23. ხუციშვილი დინა 24. გაიპარაშვილი ზურაბი 25. ცქიტიშვილი თემური 26. ახალბედაშვილი ლალი 27. ხუციშვილი მარინე 28. ნემსაძე ადა 29 . რუხაია მიხეილი 30. ხუციშვილი სოფიო 31. ლომიძე ნოდარი 32. კაკულია ეთერი 33. სუმბაძე ციური 34. გურგენიშვილი მარინა 35. თუმანიშვილი გიორგი 36. გარიშვილი მარინე 37. ქიტუაშვილი თინა 38. თაბუაშვილი აპოლონი 39. კაკულია ნაზირა 40. გვანცელაძე გვანცა 41. ჩიტაია დაჩი (დანართი 1)

იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დღის წესრიგით გათვალისწინებული რიგი საკითხების განხილვაში მონაწილეობს ასევე

აკადემიური საბჭო, მასალები რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს მიერ გადაგზავნილი იქნა თსუ აკადემიური საბჭოს წევრებთან გასაცნობად (დანართი 2).

წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით, თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა მიხეილ რუხაიამ, აკადემიური საბჭოს წევრმა მაია კოპალეიშვილმა, ასევე საკითხის მომხსენებელმა მამუკა ხუსკივაძემ. თავისი მოსაზრება დააფიქირა ასევე იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა არჩილ კუკულავამ. კერძოდ, სენატის წევრის მიხეილ რუხაიას შეკითხვა შეეხებოდა დღის წესრიგის მე-7 საკითხს -"სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის №63/2017 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2021 წლის 5 მარტის №30/2021 დადგენილების დამტკიცებას. შეკითხვის ავტორი დაინტერესდა, რატომ დადგა კონკრეტული მუხლის შეცვლის საჭიროება, რაზედაც საკითხის მომხსენებელმა წარმოადგინა წერილობითი პასუხი, რომლითაც გაირკვა, რომ ცვლილება შეეხება კონკრეტულ ინსტიტუტს, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე.

აკადემიური საბჭოს წევრმა, მაია კოპალეიშვილმა დააფიქსირა პოზიცია, რომ დებულებებში ან/და სხვა აქტებში შინაარსის გათვალისწინებით, ცვლილების შეტანის შესახებ პროექტების წარმოდგენისას, განმარტებით ბარათებში/მიმართვებში გაკეთდეს მითითება, იწვევს თუ არა წარმოდგენილი ცვლილება/პროექტი დამატებით საბიუჯეტო ხარჯებს/ახალ ფინანსურ ვალდებულებებს, თუ იწვევს, რა არის დაფინანსების წყარო. აკადემიური საბჭოს წევრის აზრით, დასახელებული სტანდარტი კიდევ უფრო მეტად გამჭვირვალეს გახდის თსუ-ის აქტებს.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა არჩილ კუკულავამ განმარტა, რომ აღნიშნული მიდგომა მისაღებია და ის გათვალსიწინებული უნდა იქნეს კონკრეტული საკითხის ინიციატორის მიერ, მათ შორის თსუ საფინანსო დეპარტამენტთან შეთანხმებით, რამეთუ იურიდიული დეპარტამენტი ახორციელებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის სამართლებრივ ექსპერტიზას და ჩართულია მისი მომზადების პროცესში ამ კუთხით.

შესაბამისად, მიღებულად ჩაითვალა შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის დებულება წარმოდგენილი სახით (დანართი 3).

მომხრე: 41

წინააღმდეგი: 0

2. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებაში ცვლილებები წარმოდგენილი სახით (დანართი 4).

მომხრე: 41

წინააღმდეგი: 0

3. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულება წარმოდგენილი სახით (დანართი 5).

მომხრე: 41

წინააღმდეგი: 0

4. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის დებულებაში ცვლილებები წარმოდგენილი სახით (დანართი 6).

მომხრე: 41

წინააღმდეგი: 0

5. დამტკიცდეს სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებები წარმოდგენილი სახით (დანართი 7).

მომხრე: 41

წინააღმდეგი: 0

6. დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის №137/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 5 მარტის №29/2021 დადგენილება (დანართი 8).

მომხრე: 41

წინააღმდეგი: 0

7. დამტკიცდეს “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის №63/2017 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 5 მარტის №30/2021 დადგენილება (დანართი 9).

მომხრე: 41

წინააღმდეგი: 0

8. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის ანგარიში (დანართი 10)

მომხრე: 41

წინააღმდეგი: 0

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი - ვლადიმერ მარგველაშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი - გიორგი ჩაკვეტაძე

2021 წლის 26 მარტის დისტანციური სხდომის ფორმატში (სხდომა #2, ელ.ფოსტის გამოყენებით) მონაწილე წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

აბესაძე ნინო -

საბაური ლევანი -

კაკულია ნაზირა -

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

არჩვაძე ნათელა -

თუთბერიძე ბეჟანი -

მაჭავარიანი ლია -

მუკბანიანი ომარი -

თავხელიძე ილია -

სტუდენტები:

ლუკა ონიანი

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

ყალიჩავა კობა -

თუმანიშვილი გიორგი -

გარიშვილი მარინე -

სტუდენტები:

ჯავახიშვილი არჩილი -

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

მარგველაშვილი ვლადიმერი -

ქიტუაშვილი თინა -

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

გოგსაძე გიორგი -

ჭალაგანიძე ნინო -

სტუდენტები:

ბებერაშვილი ელენე -

ჩიტაია დაჩი -

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ჟვანია ირინე -

ჩახუნაშვილი ნინო -

სტუდენტი:

ცანავა ქეთევანი -

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ბჟალავა ელისაბედი -

რუსეიშვილი მანანა -

ლორია კახაბერი -

პაიჭაძე თამარი -

ზაქარიაძე ანასტასია -

თაბუაშვილი აპოლონი -

სტუდენტები

ხუციშვილი დინა -

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

გაიპარაშვილი ზურაბი -

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

ცქიტიშვილი თემური -

ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი

ახალბედაშვილი ლალი -

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

ხუციშვილი მარინე -

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნემსაძე ადა -

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

რუხაია მიხეილი -

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

ხუციშვილი სოფიო -

მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ლომიძე ნოდარი -

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

კაკულია ეთერი -

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

სუმბაძე ციური -

პეტრე მელიქიშვილის ფიზ. და ორგ. ქიმიის ინსტიტუტი

გურგენიშვილი მარინა -

არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვანცელაძე გვანცა -

წარმოადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი №2 დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს იმ წევრთა სია, რომელთაც დისტანციურად (ელ. საშუალების გამოყენებით) დაადასტურეს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად გათვალისწინებული საკითხების გაცნობის ფაქტი

წარმომადგენლობითი საბჭოს დისტანციური სხდომის ოქმი (26.03.2021 წ. #2)

1. ავაზაშვილი ნიკოლოზ
2. ამირანაშვილი ავთანდილ
3. ანანიაშვილი ნათელა
4. გაგნიძე ნონა
5. ზაუტაშვილი მარინე
6. კვინიკაძე მურმან
7. კოპალეიშვილი მაია
8. კუხიანიძე ალექსანდრე
9. ლობჟანიძე გია
10. ლომიძე გაგა
11. მაისაშვილი ხათუნა
12. მაღრაძე ვახტანგ
13. მესტვირიშვილი მაია
14. მექვაბიშვილი ელგუჯა
15. მინდაძე ნინო
16. სანაძე რუსუდან
17. სილაგაძე ავთანდილ
18. ფერაძე გოჩა
19. ფურთუხია ომარ
20. ქურდაძე ირინე
21. ქურდაძე რამაზ
22. ღვედაშვილი გიორგი
23. ღონღაძე ალექსანდრე
24. ყარალაშვილი თამაზ
25. შავლაყაძე ნუგზარ
26. შანიძე რევაზ
27. შენეგელია თემურ
28. წერეთელი მარი
29. ხარშილაძე ირმა
30. ხაჩიძე მანანა
31. ხუსკივაძე მამუკა
32. ხუციშვილი ქეთევან

პროექტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – ,,უნივერსიტეტი“) მუზეუმი (შემდომში - ,,მუზეუმი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს.

2. მუზეუმი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით და წინამდებარე დებულებით.

3. მუზეუმი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ დავალებებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

მუხლი 2. მუზეუმის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. მუზეუმის ძირითადი საქმიანობის სფეროა - საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით სფეროსთან დაკავშირებული სამუზეუმო ექსპონატების მოძიება, შეძენა, დაცვა, შენახვა, რესტავრაცია, კონსერვაცია, ექსპონირება და პოპულარიზაცია.

2 . მუზეუმის ამოცანებია:

ა) უნივერსიტეტის ისტორიასთან და სხვადასახვა სამეცნიერო დარგთან დაკავშირებული სამუზეუმო მასალების მოძიება და შეძენა;
ბ) სამუზეუმო საგნების დადგენილი წესების დაცვით აღრიცხვა და შესაბამის პირობებში მათი შენახვა და დაცვა;
გ) მუზეუმში არსებული სამუზეუმო ნივთების რესტავრაციისა და კონსერვაციის ჩატარება;
დ) მუზეუმში დაცული მასალების ექსპონირება და მათი პოპულარიზაცია;
ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით სამუზეუმო მასალების სარგებლობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
ვ) სამუზეუმო მასალებით კატალოგების, ალბომების, სამეცნიერო შრომების და სხვა პროდუქციის შექმნა, როგორც სტამბურად ნაბეჭდი სახით, ისე ელექტრონულ ფორმატში;
ზ) თავისი მიზნის ფარგლებში კვლევა-ძიების განხორციელება;

თ) საერთაშორისო სამუზეუმო ორგანიზაციაში გაწევრიანება და საერთაშორისო სამუზეუმო პროგრამებში მონაწილეობა;
ი) უნივერსიტეტში სასწავლო და კვლევითი პროცესებისთვის ხელის შეწყობა და მონაწილეობა.

3. მუზეუმის ფუნქციებია:

ა) უნივერისტეტში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ხსენებულ საქმიანობაში მონაწილეობა;
ბ) შეხვედრების, დისპუტების, კონფერენციების, გამოფენებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის მოწყობა;
გ) უნივერსიტეტის ისტორიული მემკვიდრეობის ადგილზე დაცვის, გადმოტანის ან შეძენის თაობაზე წინადადების მომზადება და წარდგენა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე;
დ) მუზეუმში დაცული ექსპონატების პირველი პუბლიკაციის განხორციელება;
ე) უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისათვის რეკომენდაცია სხვადასხვა ბეჭდურ პროდუქციაზე, სუვენირებსა და ფართო მოხმარების საგნებზე სამუზეუმო ექსპონატების სიმბოლოებად გამოყენების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ;
ვ) უნივერსიტეტის რექტორის ნებართვით, კანონმდებლობით დადგენილი წესით სასწავლო, კულტურულ და ტურისტულ სააგენტოებთან თანამშრომლობა;
ზ) დამთვალიერებლის (ვიზიტორთა) საექსკურსიო მომსახურების განხორციელება;
თ) მუდმივმოქმედი და დროებითი გამოფენების მოწყობა;
ი) სამუზეუმო ნორმების დარღვევის ან მოსალოდნელი საფრთხის შესახებ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დროული გაფრთხილება.

მუხლი 3. მუზეუმის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. მუზეუმი წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს და შედგება მუზეუმის ადმინისტრაციისაგან და ცალკეული მუზეუმებისაგან.
2. მუზეუმის ადმინისტრაცია შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან:
ა) სამუზეუმო ექსპონატთა დაკომპლექტებისა და პირველადი აღრიცხვის განყოფილება;
ბ) საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილება;
3. უნივერსიტეტის მუზეუმი მოიცავს ცალკეულ სამეცნიერო პროფილის მუზეუმებს:
ა) უნივერსიტეტის ისტორიის მუზეუმი;
ბ) არქეოლოგიის მუზეუმი;
გ) გეოგრაფიის მუზეუმი;
დ) ზოოლოგიის მუზეუმი;
ე) პალეონტოლოგიის მუზეუმი;
ვ) ვაჟა-ფშაველას მემორიალური მუზეუმი.

4. ცალკეული სამეცნიერო პროფილის მუზეუმები და ადმინისტრაციის განყოფილებები არის უნივერსიტეტის მუზეუმის სტრუქტურული ერთეულები.
5. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით მუზეუმისათვის განსაზღვრული თანამდებობებია: მუზეუმის დირექტორი, მუზეუმის დირექტორის მოადგილე, განყოფილების კურატორი, წამყვანი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, მუზეუმის მენეჯერი და სპეციალისტი. მუზეუმის საქმიანობის სპეციფიკიდან და საჭიროებიდან გამომდინარე შტატგარეშე პოზიციებზე შესაძლებელია მოწვეულ იქნენ წამყვანი სპეციალისტი, სპეციალისტი, მენეჯერი.
6. მუზეუმს ხელმძღვანელობს მუზეუმის დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
7. მუზეუმის დორექტორი:
ა) წარმართავს მუზეუმის საქმიანობას;
ბ) უნივერსიტეტის ადმინსტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული სამუშაო აღწერილობების შესაბამისად ანაწილებს მოვალეობებს მუზეუმის სტრუქტურულ ერთეულებსა და თანამშრომლებს შორის;
გ) წარმოადგენს უნივერსიტეტის მუზეუმს და პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მუზეუმზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;
დ) ზედამხედველობს უნივერსიტეტის მუზეუმის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის ჯეროვან შესრულებას;
ე) ხელს აწერს უნივერსიტეტის მუზეუმში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს მუზეუმში შემუშავებული დოკუმენტების ვიზირებას;
ვ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ანგარიშს მუზეუმში ჩატარებული საქმიანობის შესახებ;
ზ) უნივერსიტეტის რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს მუზეუმში ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის წინადადებებსა და პროექტებს;
თ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს დასაბუთებულ წინადადებას მუზეუმის თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
ი) შუამდგომლობს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან მუზეუმის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებაზე;
კ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს მუზეუმში დასანიშნი პერსონალის კანდიდატურებს;
ლ) შუამდგომლობს სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია მუზეუმის ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;
მ) ამტკიცებს მუზეუმის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო გეგმებს;
ნ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინეულ სხვა უფლებამოსილებებს.

8. უნივერსიტეტის მუზეუმის დირექტორის მოადგილეს მუზეუმის დირექტორის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
9. უნივერსიტეტის მუზეუმის დირექტორის მოადგილე:
ა) უნივერსიტეტის მუზეუმის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და სხვა) ასრულებს მუზეუმის დირქეტორის მოვალეობას;
ბ) კურირებს მუზეუმის დაკომპლექტებისა და პირველადი აღრიცხვის განყოფილებას და უშუალოდ ხელმძღვანელობს სამუზეუმო ერთეულთა (ექსპონატთა) დადგენილი წესისამებრ აღრიცხვის წარმოებას;
გ) აკონტროლებს მუზეუმის სტრუქტურულ ერთეულებში სამუზეუმო ფასეულობათა დაცვის და შენახვის წესების დაცვას;
დ) შეიმუშავებს წინადადებებს და წარუდგენს მუზეუმის დირექტორს სამუზეუმო ფასულობათა დაცვის ოპტიმალური პირობების შექმნის შესახებ;
ე) კონსულტაციას უწევს მუზეუმის თანამშრომლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს სამუზეუმო ნივთების გამოყენების თაობაზე;
ვ) ხელმძღვანელობს სამუზეუმო საგნების ელექტრონული საძიებო სისტემაში განთავსებას.
10.უნივერსიტეტის მუზეუმის სტრუქტურულ ერთეულებს ხელმძღვანელობს განყოფილების კურატორი და მუზეუმის მენეჯერი, რომელთაც მუზეუმის დირექტორის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტარციის ხელმძღვანელი.
11. უნივერსიტეტის მუზეუმის განყოფილების კურატორი:
ა) ხელმძღვანელობს სამუზეუმო საქმიანობას კონკრეტული სამუზეუმო მიმართულების (დაკომპლექტება, აღრიცხვა, დაცვა-შენახვა, ექსპონირება, პოპულარიზაცია, პუბლიკაცია და ა.შ.) მიხედვით და პასუხისმგებელია ამ მიმართულებით მუზეუმის გამართულ ფუნქციონირებაზე;
ბ) ადგენს მუზეუმში მისთვის გაპიროვნებული მიმართულებით სამოქმედო გეგმას და სათანადო წინადადებებით წარუდგენს დირექტორს;
გ) ამზადებს უნივერსიტეტის მუზეუმის მისადმი გაპიროვნებული სამუზეუმო მიმართულებით გაწეული მუშაობის ყოველწლიურ ანგარიშს და წარუდგენს მუზეუმის დირექტორს.
12. უნივერსიტეტის მუზეუმის მენეჯერი:
ა) ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის მუზეუმის სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას და პასუხისმგებელია მისი საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე;
ბ) დადგენილი სამუზეუმო წესების მიხედვით აღრიცხავს მისადმი გაპიროვნებულ ექსპონატებს და უზრუნველყოფს მათ უსაფრთხო შენახვასა და დაცვას;
გ) ადგენს მისადმი გაპიროვნებულ ექსპონატების ექსპონირების, რესტავრაციის და კონსერვაციის დოკუმენტებს და ხელს აწერს მათ;
დ) ამზადებს უნივერსიტეტის მუზეუმის სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს და წარუდგენს მუზეუმის დირექტორს;

ე) უნივერსიტეტის მუზეუმის დირექტორს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის შესახებ.

მუხლი 4. მუზეუმის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუზეუმის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 4136/10 12/03/2021

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს, ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის'' წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის თანახმად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტს.

ცვლილებები განპირობებულია დებულების მოქმედ ვერსიაში ტექნიკური ხარვეზების არსებობით და მუზეუმის ზოგიერთ თანამდებობათა დასახელებების ცვლილებით, რაც იწვევს დებულების შესაბამისი ნორმების შეცვლის საჭიროებას.

დანართი: 5 ფურცელი.

პატივისცემით,

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულების (დამტკიცებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფოუნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს2012 წლის 4 აპრილისN3 ოქმით) ცვლილება:

1. **დებულების მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1.უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა შედგება ადმინისტრაციისაგან, განყოფილებებისაგან, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ბიბლიოთეკებისაგან და სამკითხველო დარბაზებისაგან.";

„2.უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის განყოფილებებია:

ა)დაკომპლექტება-დამუშავების;
ბ)ელექტრონული რესურსების;
გ)ინფორმაციული კვლევის;
დ) რესტავრაციის;
ე)ბიბლიოგრაფიის;
ვ)პერიოდიკის;
ზ)იშვიათი გამოცემების (წიგნის მუზეუმი);
თ) აბონემენტის;
ი) წიგნსაცავის;
კ) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921წწ.) შემსწავლელი ცენტრი-ბიბლიოთეკის.";

2.დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4.ბიბლიოთეკისათვისუნივერისტეტის საშტატო ნუსხით განსაზღვრული თანამდებობებია:უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მოადგილე,განყოფილების გამგე (I კატეგორიის მთავარი სპეციალისტი - I კატეგორიის მთავარი ბიბლიოთეკარი), სამკითხველო დარბაზის გამგე (წამყვანი სპეციალისტი - წამყვანი ბიბლიოთეკარი) , უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის ბიბლიოთეკის გამგე (II კატეგორიის მთავარი სპეციალისტი -II კატეგორიის მთავარი ბიბლიოთეკარი), რესტავრატორი, უფროსი სპეციალისტი, სპეციალისტი. ბიბლიოთეკის საქმიანობის სპეციფიკისა და საჭიროების გათვალისწინებით შესაძლებელია შტატგარეშე პოზიციაზე მოწვეულ

იქნას - რესტავრატორი, საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი, ექსპერტი-კონსულტანტი და მკვლევარი.ამ პუნქტით განსაზღვრული პერსონალის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ დებულებით, შესაბამისი თანამშრომლის სამუშაო აღწერილობებითა და შრომითი ხელშეკრულებით.";

3. დებულების მე-3 მუხლის მე-10- მე-18 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,10. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილებისგამგე(I კატეგორიის მთავარი სპეციალისტი - I კატეგორიის მთავარი ბიბლიოთეკარი), რომელსაც, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

11. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის განყოფილების გამგე (I კატეგორიის მთავარი სპეციალისტი - I კატეგორიის მთავარი ბიბლიოთეკარი):

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს განყოფილების საქმიანობას;

ბ) ანაწილებს მოვალეობებს განყოფილების თანამშრომლებს შორის, უნივერსიტეტისბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მითითებების შესაბამისად, განსაზღრავს მათ ფუნქციებს დააძლევს დავალებებს;

დ) ხელს აწერს განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში მომზადებულ დოკუმენტებს;

ე) ამზადებს განყოფილების საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს და წარუდგენსუნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს;

ვ) ორგანიზებას უწევს განყოფილებისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას,რისთვისაც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებებსცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით;

ზ) პასუხისმგებელია განყოფილების საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე.

12.უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის განყოფილების გამგის (I კატეგორიის მთავარი სპეციალისტი - I კატეგორიის მთავარი ბიბლიოთეკარი)არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და სხვა) განყოფილებას ხელმძღვანელობს

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მოადგილე, ან გამგის მოვალეობას ასრულებს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის წარდგინებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული განყოფილების ერთ-ერთი თანამშრომელი.

13. სამკითხველო დარბაზს ხელმძღვანელობს სამკითხველო დარბაზის გამგე(წამყვანი სპეციალისტი - წამყვანი ბიბლიოთეკარი), რომელსაც, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის წარდგინებით, ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

14. სამკითხველო დარბაზის გამგე (წამყვანი სპეციალისტი):

ა)პასუხისმგებელია სამკითხველო დარბაზში არსებულ წიგნად ფონდზე;

ბ) მისი კომპეტენციის ფარგლებში - საბიბლიოთეკო სერვისების ხარისხზე.

15. სამკითხველო დარბაზის გამგის(წამყვანი სპეციალისტი - წამყვანი ბიბლიოთეკარი)არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და სხვა) სამკითხველო დარბაზის გამგის, მოვალეობას ასრულებს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის წარდგინებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული სამკითხველო დარბაზის ერთ-ერთი თანამშრომელი.

16. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკის გამგე (II კატეგორიის მთავარი სპეციალისტი -II კატეგორიის მთავარი ბიბლიოთეკარი), რომელსაც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

17. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის ბიბლიოთეკის გამგე (II კატეგორიის მთავარი სპეციალისტი - II კატეგორიის მთავარი ბიბლიოთეკარი):

ა)პასუხისმგებელია სამკითხველო დარბაზში არსებულ წიგნად ფონდზე;

ბ) მისი კომპეტენციის ფარგლებში - საბიბლიოთეკო სერვისების ხარისხზე;

გ) სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის შესახებ რეკომენდაციების მომზადებასა და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ადმინისტრაციისადმი წარდგენაზე.

18. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის ბიბლიოთეკისგამგის (II კატეგორიის მთავარი სპეციალისტი -II კატეგორიის მთავარი ბიბლიოთეკარი)არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და სხვა) უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის ბიბლიოთეკისგამგის მოვალეობას ასრულებსუნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის წარდგინებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული ამ ბიბლიოთეკის ერთ-ერთი თანამშრომელი.";

4. ამოღებულ იქნას მე-3 მუხლის მე-5, მე-19 და მე-20 პუნქტები.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 4941/10 22/03/2021

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს
უფროსს
ბატონ გიორგი ჩაკვეტაძეს

ბატონო გიორგი,

საშტატო განრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით, წარმოგიდგენთ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებაში შესატანი ცვლილების პროექტს (თან ახლავს).
პროექტი არ ითვალისწინებს დამატებით საბიუჯეტო ხარჯს.
გთხოვთ, წარმოდგენილ დოკუმენტს მისცეთ მსვლელობა თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე განსახილველად.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფაქსი: chancellery@tsu.ge; E-mail

პროექტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – ,,უნივერსიტეტი") მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი (შემდგომში – ,,დეპარტამენტი") წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს.
2. დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე, ასრულებს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ, ასევე რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ ზემოხსენებული აქტების საფუძველზე დაკისრებულ დავალებებს.

მუხლი 2. დეპარტამენტის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. დეპარტამენტის ძირითადი საქმიანობის სფეროა მატერიალური რესურსების ეფექტიანად მართვის საფუძველზე:
ა) უნივერსიტეტის სტუდენტებს და პერსონალს შეუქმნას სწავლის, შრომისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ნორმალური პირობები;
ბ) უზრუნველყოს უნივერსიტეტის ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის ოპტიმალური რეჟიმის დადგენა;
გ) განახორციელოს მატერიალურ ფასეულობათა მიღება და მოვლა-პატრონობა მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით.
2. დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:
ა) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის ღონისძიებების შემუშავება;

ბ) შენობა-ნაგებობების, კაბინეტ-ლაბორატორიების, ბიბლიოთეკების, სპორტული მოედნებისა და დარბაზების თანამედროვე დონეზე მოწყობისათვის ზრუნვა.

3. დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია:
ა) სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების წლიური კალენდარული გეგმის შედგენაში მონაწილეობა, კომპეტენციის ფარგლებში სამშენებლო-სარემონტო და საექსპლუატაციო სამუშაოების ორგანიზებულად წარმართვა და შემსრულებელ ორგანიზაციაზე მუდმივი ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება;
ბ) კომუნალური გადასახადების გადასახდელად დოკუმენტაციის მომზადება და გადახდაზე კონტროლის უზრუნველყოფა;
გ) ელექტროენერგიის, სანტექნიკის, კავშირგაბმულობის, ლიფტების, საქვაბე მეურნეობის და სხვა სისტემების საქმიანობის კოორდინაცია;
დ) შენობა-ნაგებობების, მოწყობილობების, მანქანა-დანადგარების, ლიფტების, ელ. ძალოვანი დანადგარების, განათების, გათბობის, საკანალიზაციო, წყალგაყვანილობის, სავენტილაციო, მიწისქვეშა კომუნიკაციების და სხვა სისტემების გამართული ფუნქციონირებასა და მათი მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებაზე კონტროლი;
ე) უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მომარაგება საჭირო მატერიალური ფასეულობებით, მასალებით, სამეურნეო, საკანცელარიო ინვენტარით; სასაწყობო მეურნეობის მართვა და მისი სისტემატური კონტროლის განხორციელება;
ვ) უნივერსიტეტის სასწავლო/სამეცნიერო/კვლევითი კორპუსების, დამხმარე შენობა ნაგებობების, მატერიალურ ფასეულობათა მოვლა-პატრონობა და დასუფთავება, ნარგავების მოვლა;
ზ) ავტოფარეხის და ავტოსატრანსპორტო საშუალებების სწორ და გამართულ მუშაობაზე ზედამხედველობა და კონტროლი. ავტოფარეხის საწვავით, საცხებ-საპოხი მასალებით, სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფისა და სატრანსპორტო საშუალებების შეკეთების მიზნით შესაძენი მატერიალური ფასეულობებისა და სარემონტო სამუშაოების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
თ) უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული, ამორტიზებული და ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი, ჩამოსაწერი ქონების შესახებ წინადადებების მომზადება და წარდგენა.

მუხლი 3. დეპარტამენტის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა
1. დეპარტამენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი.
2. დეპარტამენტის უფროსს უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. დეპარტამენტის უფროსის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა ან სხვ.) მის მოვალეობას ასრულებს დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ან დეპარტამენტის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით.

3. დეპარტამენტის უფროსი:

ა) გეგმავს დეპარტამენტის მუშაობას, უზრუნველყოფს მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას, შრომის აუცილებელი პირობების შექმნას, იღებს ზომებს თანამშრომელთა პროფესიული მომზადების დონის ასამაღლებლად;

ბ) ანაწილებს მოვალეობებს დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული სამუშაოთა აღწერილობების შესაბამისად, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

გ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელს განსახილველად წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტის სტრუქტურის, შტატების, დეპარტამენტის პერსონალთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის, წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

დ) იხილავს დეპარტამენტის მიერ შესრულებულ სამუშაოთა მასალებს და გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას;

ე) კომპეტენციის ფარგლებში იხილავს და კოორდინაციას უწევს ფაკულტეტებზე რესურსების სამსახურების მუშაობას და მათი მოვალეობების შესრულების მიმდინარეობას;

ვ) იხილავს და კომპეტენციის ფარგლებში ახდენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული აქტების, ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების პროექტების ვიზირებას;

ზ) უზრუნველყოფს დეპარტამენტის საქმიანობაში კანონიერებისა და კონფიდენციალურობის დაცვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

თ) დადგენილი წესის მიხედვით იხილავს კორესპოდენციას და კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს.

ი) პასუხისმგებელია დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ შრომითი დისციპლინის დაცვაზე;

კ) ახორციელებს დეპარტამენტის თანამშრომელთა საქმიანობაზე ზედამხედველობას;

ლ) ადგენს დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ შვებულებების გამოყენების რიგითობას;

მ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებით. ასრულებს რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

4. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:

ა) ხელს უწყობს დეპარტამენტის უფროსს მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელების დაგეგმვა -კოორდინაციასა და ორგანიზაციაში;

ბ) კოორდინაციას უწევს დეპარტამენტის განყოფილებების საქმიანობას;

გ) მონაწილეობს დეპარტამენტში შემოსული მასალების განაწილებაში;

დ) ახორციელებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისათვის სამსახურებრივი საკითხების შესახებ კონსულტაციის გაწევას;

5. დეპარტამენტის სტრუქტურაში ერთიანდება შემდეგი განყოფილებები:
ა) სამეურნეო განყოფილება;
ბ) ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილება;
6. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით დეპარტამენტისათვის განსაზღვრული თანამდებობებია: დეპარტამენტის უფროსი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსი, განყოფილების უფროსის მოადგილე, საწყობის მენეჯერი, ექსპერტი, კონსულტანტი, მთავარი სპეციალისტი (1 კატეგორია), წამყვანი სპეციალისტი და უფროსი სპეციალისტი. დეპარტამენტის საქმიანობის სპეციფიკის და საჭიროების გათვალისწინებით შტატგარეშე პოზიციაზე შესაძლოა დასაქმებული იქნან შესაბამისი პროფილის მქონე სპეციალისტები და სხვა კატეგორიის დამხმარე პერსონალი, დეპარტამენტის თანამშრომელთაგან (ჯგუფის ხელმძღვანელისა და წევრების სტატუსით) შესაძლებელია შეიქმნას სპეციალიზებული სამუშაო ჯგუფები, რომელთა კომპეტენცია განისაზღვრება დეპარტამენტის კონკრეტული მიმართულების საქმიანობის გაღრმავებისა ან საქმიანობაში გაუთვალისწინებელი შესაბამისი პროფილური ფუნქციების განხორციელებით. სამუშაო ჯგუფების წევრებს სპეციალიზებული ფუნქციის შესრულებისათვის შესაძლებელია განესაზღვროთ შესაბამისი შრომის ანაზღაურება. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული პერსონალის ფუნქციები და უფლება-მოსვალეობები განისაზღვრება ამ დებულებით, შესაბამისი თანამდებობების სამუშაო აღწერილობებითა და შრომითი ხელშკრულებებით.
7. სამეურნეო განყოფილების ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები:
ა) უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსების, დამხმარე შენობა ნაგებობების, მატერიალურ ფასეულობათა მოვლა-პატრონობა და დასუფთავება, ნარგავების მოვლა, შენობა-ნაგებობების, აუდიტორიების, კაბინეტ-ლაბორატორიების, ბიბლიოთეკების, სპორტული მოედნების და დარბაზების ტექნიკურად გამართულ და თანამედროვე დონეზე მოწყობისათვის ზრუნვა;
ბ) უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების გადაადგილება/მოძრაობის უზრუნველყოფა დადგენილი წესით შედგენილი დოკუმენტების საფუძველზე.
გ) უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული, ამორტიზებული და ექსპლუატაციისათვის უვარგისი, ჩამოსაწერ ქონებაზე დადგენილი წესით დოკუმენტების მომზადება და წარდგენა;
დ) შესრულებული სამუშაოების შემდეგ, გახარჯული მასალების დადგენილი წესით ჩამოწერისათვის დოკუმენტების მომზადება;
ე) უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მომარაგება საჭირო მატერიალური ფასეულობებით, მასალებით, ინვენტარით და მათი განაწილება დადგენილი წესის მიხედვით;
ვ) სასაწყობო მეურნეობის მართვა და მასზე სისტემატური კონტროლის განხორციელება;

ზ) მიღებული და გაცემული საქონლის ელექტრონული და დოკუმენტური აღრიცხვის წარმოება.
თ) ავტოფარეხის და ავტოსატრანსპორტო საშუალებების სწორ და გამართულ მუშაობაზე ზედამხედველობა და კონტროლი. ავტოფარეხის საწვავით, საცხებ-საპოხი მასალებით, სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფისა და სატრანსპორტო საშუალებების რემონტის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
8. ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები:
ა) სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების წლიურ კალენდარული გეგმის შედგენაში მონაწილეობა, კომპეტენციის ფარგლებში სამშენებლო-სარემონტო და საექსპლუატაციო სამუშაოების ორგანიზებულად წარმართვა და შემსრულებელ ორგანიზაციაზე მუდმივი ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება;
ბ) ელექტროენერგიის, სანტექნიკის, კავშირგაბმულობის, ლიფტების, საქვაბე მეურნეობის და სხვა სისტემების საქმიანობის კოორდინაცია;
გ) შენობა ნაგებობების, მოწყობილობების, მანქანა-დანადგარების, ლიფტების, ელ. ძალოვანი დანადგარების, განათების, გათბობის, საკანალიზაციო, წყალგაყვანილობის, სავენტილაციო, მიწისქვეშა კომუნიკაციების და სხვა სისტემების გამართული ფუნქციონირებასა და მათი მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებაზე კონტროლი;
დ) შესრულებული სამუშაოების შემდეგ, გახარჯული მასალების დადგენილი წესით ჩამოწერისათვის დოკუმენტების მომზადება.

მუხლი 4. დეპარტამენტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დეპარტამენტის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ვიზა:

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი:
არჩილ კუკულავა

საფინანსო დეპარტამენტის უფროსი:
ირაკლი საღარეიშვილი

პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსი:
ნათელა ლაცაბიძე

N 4515/10 17/03/2021

სსიპ – ივანეჯავახიშვილისსახელობისთბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი

საბჭოს სპიკერს

ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის-,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის'' წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის თანახმად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტს.

ცვლილებები განპირობებულია დეპარტამენტის სტრუქტურის და ზოგიერთ თანამდებობათა დასახელების ცვლილებით, რაც იწვევს დებულების შესაბამისი ნორმების შეცვლის საჭიროებას.

დანართი: 6 ფურცელი.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 17ოქტომბრის N38 ოქმით (ცვლილება 2018 წლის 12 თებერვლის N1 ოქმი) დამტკიცებული შიდა აუდიტის სამსახურის დებულებაში ცვლილების შესახებ:

1. დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,ვ) აუდიტორული დასკვნის/ანგარიშის/მოხსენების შედგენა და რექტორისათვის/ადმინისტარციის ხელმძღვანელისათვის წარდგენა;";

2. დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ლ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,ლ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ,,სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება;";

3. დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,ვ) ითანამშრომლოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სხვა უწყებებისა და ადმინისტრაციული ორგანოების შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან.";

4. ამოღებულ იქნას დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტი;

5. დებულების მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,მუხლი 6. შიდა აუდიტის სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი.
2. სამსახურის მიზნებიდან გამომდინარე მის სტრუქტურაში შედის სამსახურის მონიტორინგის განყოფილება.";

6. დებულების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,ვ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს სამსახურის მიერ მომზადებულ დასკვნებს/ანგარიშებს/მოხსენებებსა და რეკომენდაციებს;“;

7. დებულების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,ო) გაწეული საქმიანობის შესახებ წლიურ ანგარიშს წარუდგენს რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;“;

8. დებულების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,2. სამსახურისათვის უნივერსიტეტის საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობებია: სამსახურის უფროსი, სამსახურის უფროსის მოადგილე, სამსახურის განყოფილების უფროსი, ექსპერტი, აუდიტორი, მთავარი სპეციალისტი (Iკატეგორია) და წამყვანი სპეციალისტი, რომლებიც ასრულებენ სამსახურის უფროსის ცალკეულ მითითებებს, დავალებებს და ანგარიშვალდებულნი არიან სამსახურის უფროსის წინაშე;“.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 4586/10 17/03/2021

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს, ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის'' წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის თანახმად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტს.

ცვლილებები განპირობებულია დებულების მოქმედ ვერსიაში ტექნიკური ხარვეზების არსებობით და სამსახურის ზოგიერთ თანამდებობათა დასახელებების ცვლილებით, რაც იწვევს დებულების შესაბამისი ნორმების შეცვლის საჭიროებას.

დანართი: 2 ფურცელი.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

ამონაწერი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი N 5

2021 წლის 10 მარტს, ოთხშაბათს, 13 საათზე, Zoom-ისპლატფორმაზე ჩატარდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდა ფაკულტეტის საბჭოს 24 წევრი: პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი, ასოც. პროფესორი ნინო წერეთელი, ასოც. პროფესორი თეა წითლანაძე, პროფესორი მანანა რუსიეშვილი, პროფესორი ნინო ჩიქოვანი, ასოც. პროფესორი ლევან სილაგაძე, პროფესორი ქეთევან ხუციშვილი, პროფესორი თეიმურაზ პაპასქირი, პროფესორი დემურ ჯალაღონია, პროფესორი რამაზ ქურდაძე, ასოც. პროფესორი კონსტანტინე ბრეგაძე, სტუდენტი დინა ხუციშვილი, პროფესორი ვალერიან რამიშვილი, პროფესორი თინათინ დოლიძე, პროფესორი ვახტანგ ლიჩელი, სტუდენტი შოთა კეჟერაშვილი, პროფესორი ნანა ტონია, პროფესორი დავით გოცირიძე, პროფესორი დარეჯან თვალთვაძე, პროფესორი კახაბერ ლორია, პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე, სტუდენტი მარიამ თვალაძე, პროფესორი დარეჯან გარდავაძე, სტუდენტი მათე ფარღალავა

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კანცელარიის უფროსი თამარ მოკვერაშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანაშემწე თეა კალანდია, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი ზვიად მურადაშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი ეკატერინე ნავროზაშვილი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი ფიქრია ვარდოსანიძე (1 კატეგორია), სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი (1 კატეგორია) პავლიკა ჯაგუნავა

სხდომის თავმჯდომარე -ფაკულტეტის დეკანი,

პროფ. ნანაგაფრინდაშვილი

მდივანი - ასოც. პროფ. ნინო წერეთელი

დღის წესრიგი

9. ცვლილებები ფაკულტეტის დებულებაში.

მოისმინეს: 9. ცვლილებები ფაკულტეტის დებულებაში.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. ნანა გაფრინდაშვილმა, ფაკულტეტის საბჭოს წევრებს წარუდგინა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში შესატანი ცვლილებები.

მან აღნიშნა, რომ ასეთი ცვლილებების შეტანის აუცილებლობა გამოწვეულია ახალი გარემოებებისა და ვითარების შექმნით. აქვე მან დეტალურად განუმარტა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს დებულებაში შესატანი ცვლილებები, მათი მიზანი და არსი:

ა) დებულების მე-4 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„9 დადგენილი წესის შესაბამისად ფაკულტეტზე იქმნება: კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისია და საატესტაციო კომისია";

ბ) დებულების მე-7 მუხლის „ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„ე) შეიმუშავებს დოქტორანტურის დებულებას და მონაწილეობს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების შემუშავებაში, რომლებსაც დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს".

გ) დებულების მე-7 მუხლს „რ" ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს „ს - ყ" ქვეპუნქტები

„ს) განიხილავს შესაბამისი ს/ს ინსტიტუტის მიერ შერჩეულ სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტთა კანდიდატურებს და დეკანის წარდგინებით დასამტკიცებლად წარუდგენს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს;

ტ) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მიზნით შესაბამისი ს/ს ინსტიტუტის რეკომენდაციით შეარჩევს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას და დეკანის წარდგინებით დასამტკიცებლად წარუდგენს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს;

უ) ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ წარმოდგენილ დისერტაციის დაცვის თარიღს;

ფ) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნულ საკითხს განიხილავს შესაბამის ს/ს ინსტიტუტში, ამტკიცებს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელსა და სადისერტაციო ნაშრომის სათაურს დოქტორანტის ჩარიცხვიდან პირველი ორი სემესტრის განმავლობაში;

ქ) შესაბამისი ს/ს ინსტიტუტის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის თემისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლასთან დაკავშირებით;

ღ) შეიმუშავებს სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციას, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს;

ყ) ახორციელებს თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილებებითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.";

დ) დებულების მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,მუხლი 18. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევის წესი

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო 4 წლის ვადით.
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად შეიძლება აირჩეს ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისათვის წასაყენებელ მოთხოვნებს განსაზღვრავს უნივერსიტეტი.";

ე) დებულების მე-6 თავის სათაური ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,თავი VI ფაკულტეტის საატესტაციო კომისია.";

ვ) დებულების მე-19 - 21-ე მუხლები ამოღებულ იქნეს;

ზ) დებულების 32-ე მუხლის მე-10 პუნქტის ვ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

ვ) ოთარ ბაქანიძის სახელობის უკრაინისტიკის ცენტრი;

თ) დებულების 47-ე მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„12. დოქტორანტურაში სტუდენტის ჩარიცხვა ხდება მოქმედი კანონმდებლობითა და თსუ–ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული წესით, უცხო ენაში მისაღები გამოცდისა და სპეციალობაში გასაუბრების შედეგების საფუძველზე“.

გაიმართა კენჭისყრა: მხარი დაუჭირა საბჭოს 24 წევრმა, წინააღმდეგი: 0; თავი შეიკავა: 0.

დაადგინეს: 1.წარედგინოს ფაკულტეტის დებულების ცვლილებების პროექტი თსუ წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.

სხდომის თავმჯდომარე: /ნანა გაფრინდაშვილი/

ცვლილებები

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის ,,დ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 10 მარტის (ოქმი N5) გადაწყვეტილების საფუძველზე, შევიდეს შემდეგი ცვლილებები სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებულ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში -

ა) დებულების მე-4 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,9 დადგენილი წესის შესაბამისად ფაკულტეტზე იქმნება: კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისია და საატესტაციო კომისია;";

ბ) დებულების მე-7 მუხლის ,,ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,ე) შეიმუშავებს დოქტორანტურის დებულებას და მონაწილეობს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების შემუშავებაში, რომლებსაც დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს".

გ) დებულების მე-7 მუხლს ,,რ" ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს ,,ს - ყ" ქვეპუნქტები

,,ს) განიხილავს შესაბამისი ს/ს ინსტიტუტის მიერ შერჩეულ სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტთა კანდიდატურებს და დეკანის წარდგინებით დასამტკიცებლად წარუდგენს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს;

ტ) სადისერტაციო ნაშრომის დაცვის მიზნით შესაბამისი ს/ს ინსტიტუტის რეკომენდაციით შეარჩევს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას და დეკანის წარდგინებით დასამტკიცებლად წარუდგენს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს;

უ) ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ წარმოდგენილ დისერტაციის დაცვის თარიღს;

ფ) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით, რომელიც, თავის მხრივ, აღნიშნულ საკითხს განიხილავს შესაბამის ს/ს ინსტიტუტში, ამტკიცებს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელსა და სადისერტაციო ნაშრომის სათაურს დოქტორანტის ჩარიცხვიდან პირველი ორი სემესტრის განმავლობაში;

ქ) შესაბამისი ს/ს ინსტიტუტის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის თემისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლასთან დაკავშირებით;

ღ) შეიმუშავებს სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების ინსტრუქციას, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს;

ყ) ახორციელებს თსუ აკადემიური საბჭოს დადგენილებებითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.";

დ) დებულების მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,მუხლი 18. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევის წესი

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო 4 წლის ვადით.
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად შეიძლება აირჩეს ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისათვის წასაყენებელ მოთხოვნებს განსაზღვრავს უნივერსიტეტი.";

ე) დებულების მე-6 თავის სათაური ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,თავი VI ფაკულტეტის საატესტაციო კომისია.";

ვ) დებულების მე-19 - 21-ე მუხლები ამოღებულ იქნეს;

ზ) დებულების 32-ე მუხლის მე-10 პუნქტის 3 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

3) ოთარ ბაქანიძის სახელობის უკრაინისტიკის ცენტრი;

თ) დებულების 47-ე მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„12. დოქტორანტურაში სტუდენტის ჩარიცხვა ხდება მოქმედი კანონმდებლობითა და თსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრული წესით, უცხო ენაში მისაღები გამოცდისა და სპეციალობაში გასაუბრების შედეგების საფუძველზე.“.

N 3956/27 10/03/2021

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს
უფროსს, ბატონ გიორგი ჩაკვეტაძეს

ბატონო გიორგი,

გთხოვთ წარმომადგენლობითი საბჭოს უახლოეს სხდომაზე განიხილოთ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების შეტანის საკითხი. იხილეთ დანართები.

პატივისცემით

ნანა გაფრინდაშვილი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 29/2021 5 მაისი 2021 წ.

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის №137/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ²“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ²“ ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის 2021 წლის 3 თებერვლის №1046/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 5 მარტის №5 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის №137/2016 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში და მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. ინსტიტუტის ძირითადი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:

ა) ეკონომიკური თეორიისა და ბიზნესის პრობლემათა კვლევის განყოფილება;
ბ) მაკროეკონომიკის, მდგრადი განვითარებისა და ფინანსების განყოფილება;
გ) სექტორული და რეგიონული ეკონომიკის განყოფილება;
დ) საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა განყოფილება.“.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. წინამდებარე დადგენილება ძალაში შედის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომიკური თეორიისა და ბიზნესის პრობლემათა კვლევის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების მიზნებისათვის, ხოლო სრულად ამოქმედდეს კონკურსის შედეგების ძალაში შესვლისთანავე.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

N 4569/10
17/03/2021

4569-10-3-202103171455

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ^2“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 30 ნოემბრის №137/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 5 მარტის №29/2021 დადგენილებას.

დანართი: 2 გვერდი

გიორგი შარვაშიძე

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარმოადგენლობითი საბჭოს
დისტანციური სხდომის ოქმი №2, დანართი 9

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 30/2021 5 მარტი 2021 წ.

"სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის №63/2017 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „თ^2" და „თ^3" ქვეპუნქტების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე–5 მუხლის პირველი პუნქტის „კ^2" და „კ^3" ქვეპუნქტების, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის 2021 წლის 3 თებერვლის №1046/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 5 მარტის №5 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის №63/2017 დადგენილების პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით დამტკიცებულ №3 დანართში და პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (10 წლის ვადით) დანართი №1-ის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ 3 რეიტინგულ პუბლიკაციას შორის 1 სამეცნიერო სტატია გამოქვეყნებულია ჟურნალში, რომელიც აღიარებულია ERIH-ის (European Reference Index of the Humanities) მიერ, ასევე მონაწილეობა 5 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში, რომლებზედაც წარდგენილი მოხსენებები გამოქვეყნებულია კონფერენციის შესაბამის მასალათა კრებულებში;".

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).
5. დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

N 4568/10
17/03/2021

4568-10-3-202103171454

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ^{2}“ და „თ^{3}“ ქვეპუნქტების საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესისა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის №63/2017 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 5 მარტის №30/2021 დადგენილებას.

დანართი: 2 გვერდი

გიორგი შარვაშიძე

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის

2020 წლის ანგარიში

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ლაშა საღინაძე

2021

2020 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

1. **2020 წელს პირველად, უნივერსიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი მომზადდა, პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით.**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი შედგენილია: ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის'', ,,საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ'' საქართველოს კანონის პროექტის, ,,საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის', ',,პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით შედგენის მეთოდოლოგიის,'' უნივერსიტეტის წესდების, ,,უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის წესის'' და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე. ბიუჯეტში გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების გეგმის ამოცანებისა და მიზნების განხორციელებიდან გამომდინარე: უნივერსიტეტის 2021 წლის პრიორიტეტული მიმართულებების, სასწავლო-სამეცნიერო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობის, საინფორმაციო ტექნოლოგიური განახლებების, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების აუცილებელი ხარჯების და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით, კულტურულ-სპორტულ აქტივობებში ჩართულობის ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

2020 წელს პირველად, უნივერსიტეტის ბიუჯეტი მომზადდა, პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით, რაც საშუალებას იძლევა ბიუჯეტი წარმოვაჩინოთ მისი დაფინანსებით გასატარებელი ძირითადი პროგრამების და მათი შედეგების თვალსაზრისით და არა მხოლოდ ორგანიზაციულ ჭრილში. პროგრამული ბიუჯეტის ძირითადი უპირატესობა ტრადიციული ორგანიზაციული სტრუქტურის მქონე ბიუჯეტთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ იგი საშუალებას იძლევა დაგეგმვის პროცესიდანვე, ბიუჯეტი ორიენტირებული იყოს შედეგებზე და ამასთან იყოს ძალიან გამჭვირვალე და მარტივად აღქმადი. უნივერსიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები: მოსალოდნელი ნაშთიდან, ეკონომიკური საქმიანობით მისაღები შემოსავლებიდან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან და საერთაშორისო გრანტებიდან განისაზღვრა 110 512 962 ლარით.

აღსანიშნავია, ის სიახლეები რაც 2021 წლის ბიუჯეტის პროექტშია ასახული, მათ შორის უნივერსიტეტის პრიორიტეტულ მიმართულებად, მიუხედავად ბიუჯეტის შეზღუდული შესაძლებლობებისა, განისაზღვრა: აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევების, ასევე, დოქტორანტებისა და პოსტდოქტორანტების სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა, რისთვისაც ბიუჯეტში გათვალისწინებულია შესაბამისად 150 000, 100 000, 100 000 ლარი. პანდემიური პროცესის შედეგად

ყველასთვის ნათელია, რომ უნივერსიტეტის სტუდენტთა და მათი ოჯახების გარკვეულ ნაწილს შეუმცირდა შემოსავალი, შესაბამისად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და 2021 წლიდან 100 000 ლარით გაიზარდა წარჩინებულ სტუდენტთა სწავლის დაფინანსების მოცულობა და ჯამში 700 000 ლართ განისაზღვრა. გრძელდება თანამშრომელთა ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო დეკრეტული შვებულების ანაზღაურების პროგრამა და ამ კატეგორიის თანამშრომლები 2021 წელს თანხას მიიღებენ ხელფასის უნივერსიტეტისთვის უპრეცენდენტო, ექვსმაგი ოდენობით. ასევე უნივერსიტეტის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და 2021 წელს ბიუჯეტში გამოიყოფა სახსრები (სახსრები მოზიდული იქნება ასევე დონორი ორგანიზაციებიდან) სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის (LMS) შეცვლის მიზნით.

ზემოაღნიშნულის განხორციელების შესაძლებლობა, შემოსავლების ზრდასთან ერთად განაპირობა: მივლინების, წარმომადგენლობითი, საკანცელარიო საქონლის შეძენის, ოფისის ხარჯების შემცირებამ. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფისა და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ხარჯები, რაც შესაბამისი თანხების უზრუნველყოფითაა ასახული წარმოდგენილ ბიუჯეტში.

2. აკადემიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი სახელფასო ანაზღაურების ზრდა

2020 წელს შეზღუდული რესურსების და პანდემიური პროცესების მიუხედავად, მარტის თვიდან განხორციელდა აკადემიური პერსონალის სახელფასო ანაზღაურების ზრდა, ხოლო 2020 წლის სექტემბრიდან ანაზღაურება გაეზარდა ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს (რიგ პირებს ვისი ანაზღაურებაც მკვეთრად დაბალი იყო ანაზღაურება გაეზარდა 1 მარტიდან). აღნიშნული ზრდა მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს წარმაოდგენდა თანამშრომელთა მოტივირების და წახალისების პროცესში;

ამასთან მოწესრიგდა თანამდებობათა დასახელებები და სამუშაო აღწერილობები;

3. დეკრეტული შვებულების ანაზღაურება

2020 წელს უნივერსიტეტმა მიიღო ძალზედ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება თანამშრომელთა ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო დეკრეტული შვებულების ანაზღაურების დაწყების შესახებ და ამ კატეგორიის თანამშრომლებს 2020 წლიდან ვუნაზღაურებთ დეკრეტულ შვებულებას

ხელფასის სამმაგი ოდენობით, ხოლო 2021 წელს დეკრეტული შვებულების ანაზღაურება განხორციელდება ხელფასისი ექვსმაგი ოდენობით. აღნიშნული შვებულება წლების განმავლობაში

4. ინფრასტრუქტურის განვითარება

უნივერსიტეტის მეორე სასწავლო კორპუსის სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში დაიხარჯა 10 750 000 ლარი, ქუთაისის სასწავლო ცენტის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 97 068 ლარი; სამეცნიერო კვლევით ინისტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტზე გაიხარჯა 285 625 ლარი, ხოლო უნივერსიტეტის ეკონომიკური საქმიანობიდან შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტზე სულ გაიხარჯა 1 168 454 ლარი, კერძოდ:

თსუ-ს მე 10 ე (მაღლივი) სასწავლო კორპუსის სარემონტო სამუშაოების შესყიდვა (10,11,12 სართულები)	**441,029.23**
მეათე და მეთერთმეტე სასწავლო კორპუსების, ტურიზმის სკოლის-შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯი	**372,025.95**
მესამე, მეშვიდე, მერვე, მეთერთმეტე სასწავლო კორპუსების, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის, სმარტ ლაბის-შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯი	**98,684.51**
ლიფტების შეკეთების მომსახურება	**55,177.43**
შენობის მიმდინარე სარემონტო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება.	**52,380.96**
I კორპუსის ეზოს, X კორპ გარე კანალიზაციის და მე-7 კორპ. სტადიონის რეაბილიტაციის სამუშაოები.	**42,373.35**
ლისის საერთო საცხოვრებლის კორპუსის გათბობის დაზიანებული ქვაბის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა.	**37,972.49**
თსუ-ს მე-11 (ბიოლოგების)კორპუსის სარემონტო სამუშაოები (მეხუთე სართული)	**30,137.04**
თბილსის პროფესიული სწავლების ცენტრი)	**20,502.96**
თსუ-ს მეთერთმეტე კორპუსის, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის, ლისის საერთო საცხოვრებლის მესამე კორპ, რემონტი	**14,340.82**
ლიფტების შეკეთების მომსახ-ბა	**3,829.20**

2020 წელს დასრულდა მეორე სასწავლო კორპუსის ერთი ნაწილის სარეაბილიტაციო სამუშაოები; 2021 წლის შემოდგომისთვის არის დაგეგმილი ყველა სამუშაოს სრულად დასრულება;

2020 წლის განმავლობაში განხორციელდა უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული 7,500 კგ. მაკულატურისა და 68,829 კგ. ლითონის ჯართის ჩამოწერა რეალიზება. ხოლო, 500 კგ. მაკულატურა და 11 326.60 კგ. ლითონის ჯართი განსაკარგავად გადაეცა სახელმწიფოს.

უნივერსიტეტის მეათე (მაღლივი) კორპუსის ფოიეში მოეწყო თანამედროვე სტანდარტების სტუდენტური სივრცე, აღნიშნული ტიპის სივრცეების მოწყობა 2021 წელს დაგეგმილია სხვა სასწავლო კორპუსებშიც;

5. სტუდენტთა ხელშეწყობა

საუნიერსიტეტო დაფინანსებით დაფინანსდა 807 სტუდენტი, პროგრამის ბიუეჯტმა შეადგინა 600 000 ლარი;

პანდემიური პროცესის შედეგად ყველასთვის ნათელია, რომ უნივერსიტეტის სტუდენტთა და მათი ოჯახების გარკვეულ ნაწილს შეუმცირდა შემოსავალი, შესაბამისად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და 2021 წლიდან 100 000 ლარით გაიზარდა წარჩინებულ სტუდენტთა სწავლის დაფინანსების მოცულობა და ჯამში 700 000 ლართ განისაზღვრა;

ამასთან პანდემიური პროცესის შედეგად ყველასთვის ნათელია, რომ უნივერსიტეტის სტუდენტთა და მათი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა, შესაბამისად 2020 წლის განმავლობაში (გაგრძელდა 2021 წელსაც) უნივერსიტეტმა სტუდენტებს შესთავაზ მაქსიმალურად მოქნილი და შეღავათიანი გადახდის (სწავლის სფასურის) პირობები.

პანდემიური პროცესების მიუხედავად დაფინანსდა და შესაბამისი ადმინისტირება გაეწია 60 ზე მეტ სტუდენტურ პროექტს;

აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტი 2021 წლისათვის 800 000 ლარით განისაზღვრა;

2020 წელს საქართველოში COVID 19-ით გამოწვეული სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში მცხოვრები სტუდენტებისთვის სპეციალური საშეღავათო პირობები ამოქმედდა და ამ ეტაპზეც გრძელდება, კერძოდ:

სოციალურად დაუცველი (70 ათასამდე სარეიტინგო ქულით) და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტი - 0 ლარი.

სტუდენტი, რომელმაც COVID 19 - ის გამო დაკარგა სამსახური ან/და არის უხელფასო შვებულებაში და მთავრობისგან იღებს შესაბამის დახმარებას - 0 ლარი.

ოჯახიდან 2 ან მეტი სტუდენტი, ან სოციალურად დაუცველი (70 ათასზე მეტი სარეიტინგო ქულით) - 50% - იანი შეღავათი.

ყველა დანარჩენი სტუდენტი - 30% - იანი შეღავათი.

6. სამეცნიერო-კვლევების და ინოვაციის ხელშეწყობა

2020 წლის განმავლობაში თსუ-ში ხორციელდებოდა 200-ზე მეტი ადგილობრივი/საერთაშორისო პროექტი შემდეგი დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით: შრსესფ, EC (H2020, Erasmus+), US (Embassy, NIH, The East-West Management Institute, Naval Research Office, USAID, UNDP, UNICEF, US Department of State), United Kingdom Research and Innovation/Global Challenges Research Fund - UKRI/GCRF; Austrian Development Agency … და სხვა.

აღსანიშნავია ევროკომისიის პროექტებში ჩართულობის გაზრდა. ევროკომისიის ონლაინ პლატფორმის ,,დაფინანსების და ტენდერების პორტალი" (Funding and Tenders Portal) მონაცემებით ევროკომისიის ჩარჩო პროგრამების დაფინსებით 2020 წელს თსუ ჩართული იყო 18 პროექტში. მათ შორის ოთხის (4) (2 EPLUS და 2 Jean Monnet) შესრულება დაიწყო 2020 წელს, ხოლო ხუთის (5) შესრულება დაიწყება 2021 წლიდან, თუმცა 2020 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები, ვინაიდან პროექტებმა მიიღეს დაფინანსება.

2020 წელს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ საგრანტო კონკურსები არ გამოცხადებულა.

თსუ-ის ავტორობით მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნდა 500-ზე მეტი სტატია (538, 2021 წლის 15 მარტის მონაცემებით).

რეგიონში პირველად, თსუ-ს ორმა პროგრამამ ამერიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების სააკრედიტაციო საბჭოს (ABET) აკრედიტაცია მიიღო. საერთაშორისო აკრედიტაციის საფუძველზე თსუ-ს კურსდამთავრებულები იღებენ საერთაშორისო აღიარების მქონე დიპლომს, რომელიც კონკურენტუნარიანია მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. დიპლომები საერთაშორისო აღიარებისაა არა მხოლოდ მომავალი კურდმთავრებულებისთვის, არამედ მათთვისაც, ვინც ბოლო წლებში დაამთავრა აღნიშნული პროგრამები. საერთაშორისოდ აკრედიტებული პროგრამებია: ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია და კომპიუტერული მეცნიერებები.

უნივერსიტეტის ორი პროგრამისთვის საერთაშორისო აკრედიტაციის (ABET Accreditation) პროცესების ადმინისტრირებაში აქტიურად იყო ჩართული სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი და სრულიად ადმინისტრაცია;

2020 წლის განმავლობაში უნივერსიტეტმა ცოდნის გადაცემის და ინოვაციების ცენტრის მეშვეობით დაიწყო 2 საერთაშორისო პროექტი:

UNDP project Experts.ai for Georgia

Visegrad + Transferring V4 expertise in knowledge/technology transfer

სტუდენტებისთვის კი განხორციელდა შემდეგი სასწავლო პროგრამები:

1. პირველი პრეაქსელერაციისპროგრამა Jet29 სტარტაპერებისთვის
2. 3 ვებინარი (Vendoo, Wolt, Styx)
3. Etsy-ს შემსწავლელი კურსი (ეთსი მსოფლიოში ყველაზე დიდი ონლაინ პლატფორმაა, სადაც ხელნაკეთი ნივთების ონლაინ გაყიდვა ხდება).
4. დიზაინი გრადუსებში - Adobe Photoshop
5. დიზაინი გრადუსებში - Adobe Illustrator
6. სოციალური მედია მენეჯმენტის კურსი 1 და 2 ნაკადი (თითო 5 შეხვედრა)
7. პრეაქსელერაციის პრობრამა Jet29 მეწარმეებისთვის

7. საზოგადოებასთან ურთიერთობა

2020 წელს სატესტო რეჟიმში ამუშავდა ორენოვანი ვებგვერდი. თანამედროვე დიზაინის მქონე ახალი ვებგვერდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მარტივად მიღების შესაძლებლობას იძლევა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მისი სრულყოფა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლიტერატურული ალმანახის „პირველი სხივი“განახლებული პირველი ნომრის პრეზენტაცია გაიმართა. „პირველი სხივი“ უნივერსიტეტის ტრადიციული ჟურნალია, რომელიც წლების განმავლობაში ახალგაზრდა შემოქმედთა წახალისებას და მათი ნაწერების მკითხველისთვის

წარდგენას ემსახურებოდა. პირველი ნომერი უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის ნიკო კეცხოველის თაოსნობით 1950 წელს გამოიცა.

8. კულტურა და სპორტი

მიუხედავად პანდემიისა, საამაყო და აღსანიშნავია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუტსალის კლუბის „ფ.კ. თსუ-ს" წარმატება საქართველოს ფუტსალის უმაღლეს ლიგაში. კლუბმა მოიპოვა 2020 წლის ჩემპიონის ტიტული და 2020 წლის 28 ნოემბერს ითამაშა ევროპის ფუტსალის ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი უნგრეთის ჩემპიონ გუნდ „ბერეტიუფალუსთან", რომელიც რეგულარულად და წარმატებით ასპარეზობს აღნიშნულ ევროტურნირზე.

რაც შეეხება უნივერსიტეტის საკალათბურთო კლუბ „ს.კ. თსუ-ს" მოგახსენებთ, რომ კორონავირუსული პანდემიის გამო საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული საქართველოს საკალათბურთო სუპერლიგის 2020 წლის სეზონის მიმდინარეობა შეწყდა და სეზონი არ დასრულებულა. 2020 წლის შემოდგომაზე ახალი სეზონი დაიწყო და კლუბი წარმატებულად მონაწილეობს მასში.

9. საგამომცემლო საქმიანობა

თსუ გამომცემლობამ 2020 წლის განმავლობაში დაბეჭდა ან ელექტრონული სახით გამოსცა 200-მდე გამოცემა, მათ შორის სამეცნიერო ნაშრომები, კრებულები, მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, ბიობიბლიოგრაფიები, პერიოდული გამოცემები...

აღსანიშნავია რამდენიმე სასაჩუქრე გამოცემა, რომელთა შორისა:

„სამედიცინო განათლება უნივერსიტეტში",

ალბომი „სვიმონ კლდიაშვილი",

„ევროპელი სოციალისტების ვიზიტი საქართველოში",

ალბომი „უნივერსიტეტი",

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრონიკები 1918-1921 წწ."

მარიამ ლორთქიფანიძის „რჩეული" მე-2 წიგნი,

ექვთიმე თაყაიშვილის მე-7 ტომი,

აკაკი შანიძის თხზულებათა მე-4 ტომი.

სხვადასხვა ფაკულტეტის მოთხოვნათა შესაბამისად დაისტამბა რამდენიმე სახელმძღვანელო, მათ შორის: ომარ ფურთუხიას „ალბათურ-სტატისტიკური ამოცანები“ (უკვე მე-5 გამოცემა), ვლადიმერ (ლადო) პაპავას „არატრადიციული ეკონომიკსი: მეთოდოლოგია და მეთოდიკა“, შალვა ნუცუბიძის „შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია“, ნანა მამაცაშვილის „ბიზნესინგლისური“, გრანი ქავთარიას „ძველი რომის ისტორია“, გოქსაძე, მამაცაშვილი, გიგინეიშვილის „თანამედროვე ინგლისური ენის გრამატიკის უმაღლესი კურსი“...

სამეცნიერო შრომებიდან აღსანიშნავია მერაბ ჩუხუას 880-გვერდიანი ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ლექსიკონი, ქეთევან ლომთათიძის შომების 1-ლი ტომი, ნანა მაჭავრიანის “აფხაზური ენის აფიქსები და მოდალური ელემენტები“, „მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურა“, მამუკა შელეგიას „გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე“

სტუდენტური პროექტის ფარგლებში მომზადდა და გამოცა „გურჯაანის მუნიციპალიტეტი“, რობერ სტამის „კინოს თეორია“

უცხოური გამოცემებიდან ქართულ ენაზე დაისტამბა ანელიზა დოდსის „შედარებითი საჯარო პოლიტიკა“, პრაიდის, ჰიუზისა და კაპურის „ბიზნესი“, პოლინ რენფიუსა და პოლ ბანის „არქეოლოგია“, ალბერტ შირიაევის „ალბათობა - 2“

10. საბიბლიოთეკო საქმიანობა

ელექტრონულ კატალოგში განთავსდა 4940 საბიბლიოთეკო ერთეული და შეიქმნა 2961 ახალი ჩანაწერი;

დასკანერდა 568 საბიბლიოთეკო დოკუმენტი (158558 გვერდი). დასკანერდა და დამუშავდა ფოტოფირების 2751 კადრი;

უფასო საცდელ რეჟიმში მუშაობდა Taylor and francis ბაზა, 2020 წელს, ბაზებიდან გადმოწერილი ფაილების რაოდენობა - 29 595 ერთეული. საძიებო სისტემით მოიძებნა - 3009 ფაილი.

დამუშავდა 865 სასწავლო კურსის სილაბუსი, მოძიებულ იქნა 1896 ერთეული ძირითადი ლიტერატურა;

გამოიცა ივანე ჯავახიშვილის ბიბლიოგრაფია (2005-2017); ჟურნალებისა და კრებულების ბიბლიოგრაფიისთვის დამუშავდა უნივერსიტეტის მიერ გამოცემული 3 ჟურნალი;

რესტავრაცია ჩაუტარდა 299 დოკუმენტს (22.871 ფურცელი);

11. ადამიანური რესურსების მართვა, სამართლებრივი უზრუნველყოფა

2020 წელს მიერ შემუშავებული იქნა უნივერისტეტის შინაგანაწესისა და დისცილინური პასუხიმგებლობის ნორმების დოკუმენტის პროექტი, რომელიც შეთანხმდა უნივერისტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან, გასაცნობად გადაეცა უნივერისტეტში დასაქმებულ პერსონალს და დამტკიცდა წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.

შესაბამისად უნივერსიტეტმა მიიღო თანამედროვე სტანდარტების მქონე და სამართლებრივად სრულად გამართული ახალი შინაგანაწესი;

მოქმედი რეგულაციების შესაბამისად ხორციელდებოდა პერსონალის შერჩევის პროცესის მართვა და კოორდინაცია, კონკურსების გამოცხადება და ადმინისტრირება. მოქმედი რეგულაციების დაცვით გამოცხადდა კონკურსი 178 აკადემიურ, 24 სამეცნიერო, 2 დამხმარე და 1 მასწავლებლის პოზიციაზე.

12. საგარეო ურთიერთობები

სხვადასხვა ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობით მომზადდა და ევროკომისიაში დასაფინანსებლად წარდგენილ იქნა ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის 140 საგრანტო განაცხადი, რომელთაგან დაფინანსდა 95 პროექტი.

საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტმა უზრუნველყო თსუ-ს სტუდენტებისა და პერსონალის შესარჩევი 26 კონკურსის ჩატარება, ერაზმუს პლიუსის საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამებისა და პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულებების ფარგლებში გამოყოფილი სტიპენდიების მისანიჭებლად. კონკურსების შედეგად სტიპენდია მოიპოვა 131-მა სტუდენტმა და 16 პერსონალმა (11 აკადემიური/5 ადმინისტრაციული).

13. საინფორმაციო ტექნოლოგიები

სასწალო პროცესის ონლიან რეჟიმში წარმართვისთვის შეძენელი იქნა ონლაინ შეხვედრების პატფორმის zoom -ის 500 ერთეული ლიცენზია;

პედაგოგებისთვის და სტუდენტებისთვის მომზადდა ვიდეო და წერილობითი გზამკვლევები Moodle და Zoom სისტემებში ოპერირებისთვის; ჩატრადა ინლაინ ტრენინგები პედაგოგებისთვის აღნიშნული სისტემების მოხმარების შესწავლის მიზნით. Zoom-ის მეშვეობით ჩატარდა 91 421 ლექცია/სემინარი/შეხვედრა;

სასწავლო პროცესის ექლტრონული მართვის სისტემაში lms.tsu.ge აეწყო და დაიხვეწა სტუდენტთა ონლაინ რეჟიმში მომსახურების მოდული შეტყობინებების სახით, სადაც სტუდენტებს მიეცათ საშულება ელექტრონულად მიეღოთ მომსახურება, როგორც საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის მხიდან, ასევე ელექტონულად მოიხოვონ და მიიღონ სხვადასხვა სახის ცნობები და დოკუმენტაცია, როგორც ფაკულტეტის ადმინისტრაციიდან ასევე ცენტრალური კანცელარიიდან და საფინანსო დეპარტამენტიდან. კერძოდ: ტექნიკური მხარდაჭერა, მეილის პაროლის აღდგენა, moodle-ზე რეგისტრაცია, ცნობა სტატუსის შესახებ, ფორმა 26. სწავლის საფასურის გადანაწილებასთან დაკავშირებული განცხადების გაგზავნა, წერილი რექტორის სახელზე, წერილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე და ა.შ. გარდა ამისა სტუდენტთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გაძლერდა უნივერსიტეტის „ცხელი ხაზი“, რომელიც უწყვეტ რეჟიმში ახორცილებს ზარების მიღებას და შესაბამის რეაგირებას.

შეიქმნა და დაინერგა საფინანასო web based სისტემა https://finance.tsu.ge/ საფინანასო დეპარტამენტისთვის სტუდენტების გადასახედების, გრანტებისა და სტატუსის აღრიცხვისა და მენეჯმენტისთვის.

14. 2020 წელს პანდემიური პროცესების გათვალისწინებით, ახალ რეალობაზე გადაწყობის მიზნით განხორციელებული აქტიოებები/ღონისძიებები:

პანდემიურ პროცესში უნივერსიტეტმა გამოიჩინა სამოქალაქო პასუხისმგებლობა და თანამშრომლების ოფიციალური განცხადებების საფუძველზე, მათივე ხელფასებიდან 2020 წელს StopCov ფონდში გადაირიცხა 76 368. 55 ლარი. გარდა ამისა, მედიცინის ფაკულტეტის და ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობის ოფიციალური წერილის საფუძველზე აღნიშნულ ფონდში განხორციელდა 28 000 ლარის გადარიცხვა;

თსუ ყველა სასწავლო კორპუსისა და ინსტიტუტების შესასვლელებში მოეწყო დეზობარიერები; შეძენილ და განთავსებულ იქნა თერმო სკრინინგისათვის საჭირო ინვენტარი და ხელის სადეზინფექციო საშუალებები; ასევე შეძენილი იქნა ახლად წარმოქმნილი მოთხოვნების შესაბამისი სანიტარულ -ჰიგიენური საშუალებები; დაიბეჭდა და განსაზღვრულ ადგილებზე განთავსდა, პანდემიური

ვითარებიდან გამომდინარე სპეციალური ინფორმაციის შემცველი სტიკერები და პოსტერები; ,ყველა სასწავლო კორპუსში გამოიყო და შესაბამისი ინვენტარით აღიჭურვა საიზოლაციო ოთახები; სასწავლო აუდიტორიებში, ეპიდსაწინააღმდეგო მოთხოვნების შესაბამისად, სტიკერებით გამოიყო დისტანცირებული ადგილები. მოთხოვნების შესაბამისად აღიჭურვა ხელის სადეზინფექციო საშუალებებითა და დახურული ნაგვის ურნებით; .

ამასთან რეგულარულად ტარდებოდა დერეფნების, სველი წერტილების, სამუშაო ოთახებისა და სასწავლო აუდიტორიების დეზინფიცირება ყველა არსებული ნორმის შესაბამისად; .სასწავლო კორპუსების ადმინისტრატორებისა და მომსახურე პერსონალის მართვა და კოორდინაცია ხორციელდებოდა ეპიდ საწინააღმდეგო მოთხოვნების გათვალისწინებით.

პერიოდულად უნივერსიტეტის პერსონალს ვაწვდიდით შესაბამის ინფორმაციას სიახლეების, ახალი რეგულაციების თუ რეკომენდაციების შესახებ;

უნივერსიტეტის პერსონალი ძირითადად მუშაობდა დისტანციურ რეჟიმში;

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ორგანიზებით და უშუალო ჩართულობით პანდემიური პროცესების გათვალისწინებით პირველად ჰიბრიდულ რეჟიმში ჩატარდა საერთაშორისო სემინარი/ვორქშოპი: “პირდაპირი და შებრუნებული ამოცანები ელექტრომაგნიტურ და აკუსტიკურ ტალღურ თეორიაში” (DIRECT AND INVERSE PROBLEMS OF ELECTROMAGNETIC AND ACOUSTIC WAVE THEORY - DIPED), რომლის მასალებიც ინდექსირებულია როგორც SCOPUS-ში, ასევე Web of Science-ში.

სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, დეპარტამენტის ხელშეწყობით სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდთან და კომპანია Elsevier-თან თანამშრომლობით 2020 წლის განმავლობაში ჩატარდა რამოდენიმე ვებინარი ელექტრონული ბაზების/ბიბლიომეტრიული პლატფორმების გამოყენებაზე; თსუ პერსონალისთვის პერმანენტულად ტარდებოდა დისტანციური კონსულტაციები ბიბლიომეტრიული ბაზების გამოყენებაზე და ბიბლიომეტრიული მაჩვენებლების მოძიებაზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის 2020 წლის კურსდამთავრებულთა გამოშვების საზეიმო ღონისძიება საქართველოსა და მსოფლიოში შექმნილი ეპიდსიტუაციის გამო - ონლაინფორმატში გაიმართა. საზეიმო ონლაინღონისძიება სხვადასხვა საინტერესო დეტალისგან შედგებოდა: 22 ივლისიდან თსუ პირველ და მეათე (მაღლივ) კორპუსებში რეალური ფოტოზონები მოეწყო, სადაც სტუდენტები სამახსოვრო ფოტოებს იღებენ. 31 ივლისს მოსიარულე ქარავანმა თბილისის ქუჩები მოიარა და საზოგადოებას თსუ გამოშვება 2020-ის შესახებ ამცნო. თსუ

ეზოდან ქარავანი საზეიმოდ გააცილეს დრამერებმა მუსიკის თანხლებით და სტუდენტებმა სკუტერებით.

სტუდენტური ლიტერატურული კონკურსის „ლიტჰაიკერი“, რომლის პარტნიორი ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა იყო, 2020 წელს დისტანციურ რეჟიმში გაიმართა. გასულ წელს პირველად პროექტში თსუ-თან ერთად 5 რეგიონული უნივერსიტეტი ჩაერთო.

თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტისა და კომპანია "ჯეოსელის", ამჯერად უკვე „სილქნეტის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლობით, 2009 წელს სტარტი აიღო რიგით მე-12 სტუდენტურმა ლიტერატურულმა კონკურსმა "შემოდგომის ლეგენდა". პროექტში საქართველოს რეგიონების უმაღლესი სასწავლებლებიც მონაწილეობენ. ფინალისტების ნაწარმოებები გამოიცა კრებულის სახით. კონკურსი ნაწილობრივ ონლაინ-რეჟიმში განხორციელდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და კომპანია „სილქნეტის“ შემოქმედებითი პრაქტიკული კურსის "წერის არქიტექტურა" ასევე ონლაინ რეჟიმში ჩატარდა. მასტერ-კლასს თანამედროვე ქართველი მწერლები და ლიტერატურის სფეროს წარმომადგენლები - ბექა ადამაშვილი, დავით გაბუნია, გიორგი კეკელიძე, ზვიად კვარაცხელია, ანნა კორძაია - სამადაშვილი, დათო ტურაშვილი და ზაალ ჩხეიძე უძღვებოდნენ.

2020 წლის პანდემიის გამო სასწავლო პროცესის ონლაინ რეჟიმში წარმართვასთან დაკავშირებით სასწავლო პროცესის ელექტორნული სისტემების მეშვეობით განხორციელდა სასწავლო კურსების დადგმვა და დისტანციურ რეჟიმში წარმართვა (დავალებეის მიწოდება, ნიშნების ელექტრონულ ჟურნალში ასახვა, გამოცდების ჩატრება, შულადური გამოკითხვების ელექტრონული ფორმატით უზრუნველყოფა).

სასწალო პროცესის ონლიან რეჟიმში წარმართვისთვის შეძენელი იქნა ონლაინ შეხვედრების პატფორმის zoom -ის 500 ერთეული ლიცენზია, რომელიც განაწილდა ფაკულტეტების აკადემიურ პერსონლაზე.

სასწავლო პროცესის ექლტრონული მართვის სისტემაში lms.tsu.ge აეწყო და დაიხვეწა სტუდენტთა ონლაინ რეჟიმში მომსახურების მოდული შეტყობინებების სახით, სადაც სტუდენტებს მიეცათ საშულება ელექტრონულად მიეღოთ მომსახურება, როგორც საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის მხიდან, ასევე ელექტონულად მოიხოვონ და მიიღონ სხვადასხვა სახის ცნობები და დოკუმენტაცია, როგორც ფაკულტეტის ადმინისტრაციიდან ასევე ცენტრალური კანცელარიიდან და საფინანსო დეპარტამენტიდან. კერძოდ: ტექნიკური მხარდაჭერა, მეილის პაროლის აღდგენა, moodle-ზე რეგისტრაცია, ცნობა სტატუსის შესახებ, ფორმა 26. სწავლის საფასურის გადანაწილებასთან დაკავშირებული განცხადების გაგზავნა, წერილი რექტორის სახელზე, წერილი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე და ა.შ. გარდა ამისა სტუდენტთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გაძლერდა უნივერსიტეტის „ცხელი ხაზი“, რომელიც უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს ზარების მიღებას და შესაბამის რეაგირებას.

თსუ-ის ფაკულტეტების პროფესორთა სასწავლო პროგრამის ფარგლებში მომზადებული ვიდეო-ლექციების გადაღება-მონტაჟი:

თსუ მულტიმედია ცენტრთან ერთად თსუ გაზეთის რედაქციამ მონაწილეობა მიიღო დისტანციური სწავლის განხორციელებისთვის გეგმიური 82-მდე ვიდეო-ლექციის ვიდეოგადაღება-მონტაჟის პროცესში.

სულ მომზადდა და გავრცელდა: 151 სტატია/ინტერვიუ/ჩანახატი

საგამოცდო ცენტრმა შესაბამისი რეგულაციების სრული დაცვით 2020 წლის სექტემბერში ჩაატარა მაგისტრატურაში და დოქტორნატურაში მისაღები გამოდები და ენის ინსტიტუციალური ტესტირება. 2021 წლის მარტში ჩაატარა ენის ინსტიტუციალური ტესტირება.

საგამოცდო ცენტრმა იურიდიულ ფაკულტეტზე 2019-2020 ს/წ გაზაფხულის ჩაატარა 116 საგანში გამოცდა, 16300 სტუდენტს გაეგზავნა დისტანციურად ბილეთი.

2020-2021 ს/წ შემოდგომის სემესტრში კოლიქვიუმი ჩაატარა 113 საგანში, 17346 სტუდენტს გაეგზავნა დისტანციურად ბილეთი. ძირითადი გამოცდა ჩაატარა 113 საგანში, 17346 სტუდენტს გაეგზავნა დისტანციურად ბილეთი.

კორონავირუსით გამოწვეული პანდემიით შექმნილი ვითარების გათვალისწინებით კანცელარიაში განხორციელდა ელექტრონულ ფორმატში დოკუმენტებზე მუშაობის გაფართოება, დაინერგა რიგი სიახლეები:

- ამოქმედდა კანცელარიის საქმისწარმოების პროგრამა eDocument-ში ელექტრონული ფოსტით შემოსული დოკუმენტების რეგისტრაციის მოდული.
- ამოქმედდა კანცელარიის საქმისწარმოების პროგრამა eDocument-ში სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის lms.tsu.ge-იდან მიღებული განცხადებების რეგისტრაციის მოდული
- სტუდენტების მხრიდან დისტანციური მომსახურების მიმართ გაზრდილი მოთხოვნის საპასუხოდ კანცელარია აწარმოებს მოთხოვნილი დოკუმენტების (ფორმა 26, ცნობა სამუშაოს შესახებ, ცნობა სწავლის შესახებ, ბრძანებები, ხელშეკრულებები) ელექტრონულად გადაგზავნას mail- ზე და lms -ის საშუალებით.
- დაინერგა გასული კორესპოდენციის LMS-ით და MAIL-ით დაგზავნის ფორმები

ელექტრონულად მომზადდა და გამოიცა რამდენიმე ნიშვნელოვანი გამოცემა:

კახა ქეცბაიას „რელიგიის სოციოლოგია“,

მალხაზ გოჩიტაშვილის „ბირთვული ფიზიკა“,

სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მომზადებული „საქართველოს საზოგადოებრივი გეოგრაფია“,

ლია წულაძის „სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები“,

მანანა შამილიშვილისა და მარი წერეთლის „ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი“,

სალომე დუნდუას „პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია“,

ელენე გოგიაშვილის „ფოლკლორისტიკის თეორიები და მეთოდები“,

მზია შელიას „მოსახლეობის ეკონომიკა“,

ნატა ყაზახაშვილის „სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა, მართვა და გაუმჯობესება“,

ამირან ბიბილაშვილის „სტიმულირებული პროცესები მიკრო- და ნანოელექტრონიკაში“...

N 4802/10 19/03/2021

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობით საბჭოს

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიურ საბჭოს

წარმოგიდგენთ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის ანგარიშს.

დანართი: ანგარიში: ,,21'' გვერდი
დეპარტამენტის/სამსახურების დეტალური ანგარიშები: „1'' დაზიპული ფაილი

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი